

დადგენილება №37/2021 - სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების სადოქტორო პროგრამებზე ფასის გაზრდისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის შესახებ


დადგენილება № 37/2021
თარიღი: 02 აპრილი, 2021 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 02 აპრილის №13 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 13),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების სადოქტორო პროგრამებზე - „საშემსრულებლო ხელოვნება“ (სპეციალობები: სოლო ფორტეპიანო, საორკესტრო სიმებიანი საკრავები, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, კამერული ანსამბლი, საკონცერტმაისტერო დაოსტატება), „კომპოზიცია“, „სამუსიკისმცოდნეო კვლევები“ (სპეციალობები: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია) ფასის გაზრდა წარმოდგენილი დანართი N 1-ის სახით;
2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს;
3. დადგენილება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ორივე ფაკულტეტის დეკანს, ორივე ფაკულტეტის მიმართულებათა ხელმძღვანელებს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ნანა შარიქაძე
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



**სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის,
დოქტორანტურის საფეხურის სწავლის გადასახადი სპეციალობების შესაბამისად**

სპეციალობები	გადასახადის ოდენობის რეკომენდაცია
სპეციალობა: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია, სამ. ხელ. ისტორია, სამ. ხელ. თეორია	4500
სპეციალობა: სოლო ფორტეპიანო,	5500
სპეციალობა: საორკესტრო საკრავები, აკადემიური სიმღერა, აკად. გუნდის დირიჟორობა, კამერული ანსამბლი, საკონცერტმაისტერო დაოსტატება (კონცერტ. ვისაც სჭირდება სავარაუდოდ)	6500
სპეციალობა: კომპოზიცია	5000